



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 47  
07/07/2016

47-06-4-201607071756



**განკარგულება №47**  
**7 ივლისი 2016 წელი**

**„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში**  
**მიღებული თანხის განაწილების შესახებ**

*საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს მთავრობის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ 2016 წლის 4 თებერვლის №54 დადგენილებას თანდართული სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მე-2 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტებისა და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ*

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**მუხლი 1.** „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების (დასახლებების) მიხედვით გადანაწილებული 1 342 237 (ერთი მილიონ სამასორმოცდაორი ათას ორასოცდაჩვიდმეტი) ლარიდან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დარჩენილი ნაშთი 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი მიიმართოს მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციოდ (დანართი თან ერთვის).

**მუხლი 2.** დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს სახელმწიფო შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 4** განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. დ. ს. მ. ბ.

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო